

თავი XVI

ლექცია 7

ფულისა და საფინანსო სისტემის როლი ბიზნესის განვითარებაში

XVI. 1. ფულის ფუნქციები

კაცობრიობის ისტორია დაკავშირებულია საქონელგაცვლასთან. საქონელ-გაცვლის სიძნელეებით იყო მოტივირებული ფულის, როგორც საქონელ მიმოქცევის ატრიბუტის ჩამოყალიბება. ფულის ნიშნების, როგორც საქონელ გაცვლითი ერთეულის ჩამოყალიბებამდე საზოგადოება იყენებდა ბარტერულ გაცვლებს. ამ გაცვლებში ფულის ფუნქცია შესაძლებელი იყო გაენია ნებისმიერ საქონელს, რომელსაც მაღალი სამომხმარებლო თვისებები გააჩნდა. ასეთია, მაგალითად, ძველ რომში მარილი (ლათ. salt). აქედან, წარმოსდგება ინგლისურად სიტყვა (Salary) ხელფასი. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საქონელი გვევლინება ფულის სახით. საქონელგაცვლითი სიძნელეებით და ამ ურთიერთობათა სრულყოფით იყო მოტივირებული ფულის რამდენიმე აუცილებელი თვისების გამოყოფა. ასეთებია: გამძლეობა, სტაბილურობა, ერთგვაროვნება, კომპაქტურობა, მიმზიდველობა. ამ თვისებების მატარებელი, ფულის წარმოშობის ადრეულ სტადიებზე იყო ოქრო და ვერცხლი, ხოლო შემდგომ ლითონისა და ქალაღის ფული.

ფულს აქვს რამოდენიმე გამორჩეული ფუნქცია. ესენია, ფული როგორც: 1) მიმოქცევის საშუალება; 2) ღირებულების საზომი, 3) დაგროვების საშუალება, 4) გადახდის საშუალება და 5) მსოფლიო ფული. ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება ვლინდება იმაში, რომ ის წარმოგიდგება საქონლის (მომსახურების) ურთიერთგაცვლის შუამავლად. თავდაპირველად ეს ფუნქცია იკისრა ოქროს და ვერცხლის (როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და მიმზიდველი ლითონების) ზოდებმა. ამასთან, მათი ფორმა არ იძლეოდა გაცვლისათვის ხელსაყრელი ფუნქციების შექმნის შესაძლებლობას. ამით იყო მოტივირებული ამ ლითონებისაგან მონეტების ჩამოსხმის (ბეჭდვის) პროცედურის წარმოქმნის აუცილებლობა, რაც შეიძლება მომხდარიყო თავდაპირველად მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელიც საქონელგაცვლის მაღალი დონით გამოირჩეოდა. ასეთი სახელმწიფო იყო ძველი რომი. ამიტომაც სიმბოლურია ისიც, რომ პირველი ძვირფასი ლითონის ფულის მოჭრა სწორედ აქ, კაპიტოლიუმ უნიონ მონეტის ახლოს მოხდა, საიდანაც წარმოსდგა ტერმინი „მონეტა“. მონეტების გაყალბების პროცესმა მოითხოვა ფულის დაცვის მექანიზმის უფრო ფართო დანერ-

გვა. ეს არის ქალაქის ფულის მიმოქცევაში გამოშვებისა და გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი. ამდენად, თავდაპირველად ქალაქის ფული მოგვევლინა, როგორც სახაზინო ნიშანი, რომელიც შეიქმნა საქონელბრუნვის გამარტივების მიზნით. ამდენად, მან შეიძინა სრულიად ბუნებრივი და მნიშვნელოვანი – მიმოქცევის საშუალების ფუნქცია. ამ ფუნქციის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ XII-XVII საუკუნეებში ის მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის საქონელმიმოქცევის პროცესებში იმკვიდრებს მისთვის განკუთვნილი – მიმოქცევის საშუალების ადგილს.¹ ფული წარმოადგენს საქონლის ღირებულების უნიკალურ საზომს. ცნობილია, რომ საქონელგაცვლის პროცესში ეკონომიკურ სისტემაში მიმოქცევა უამრავი საქონელი. საქონელგაცვლის პროცესში თითოეული მათგანის ღირებულების დადგენა არის დაკავშირებული გარკვეულ ფარდობითობასთან. თავდაპირველად საქონელი თავის საცვლელ ღირებულებას გამოხატავდა ოქროთი. ამიტომაც არის, რომ ამ ეპოქაში ფულის ექვივალენტს შეადგენდა მასში ოქროს ხვედითი წილის შემცველობა. მაგალითად, აშშ დოლარში (0,888გ. ოქროს შემცველობა), ინგლისურ ფუნტ სტერლინგში (2,1334 გ. ოქროს შემცველობა). ამდენად, ქალაქის ფულის ფარდობითობა განისაზღვრებოდა მასში ოქროს შემცველობით. თანამედროვე პირობებში ქალაქის ფული (ლარი, დოლარი, იენი და სხვა) ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს ოქროს ყოველგვარი უზრუნველყოფის (სტანდარტის დადგენის) გარეშე. ქალაქის ფული უშუალოდ გამოხატავს საბაზრო კურსებს ყოველგვარი საშუამავლო ფარდობითობის გარეშე. მაგალითად, 1 კილოგრამი შაქარი ღირს 1 ლარი და 20 თეთრი, ხოლო ერთი კილოგრამი კარტოფილი 80 თეთრი. ამდენად, ქალაქის ფული უშუალოდ გამოხატავს საქონლის ფასს. ფულს აქვს უნიკალური თვისება ის არის სიმდიდრის დაგროვების წყარო. ფულის ეს თვისება არის განპირობებული მისი ლიკვიდურობის (გადაცვლის შესაძლებლობის) არსებობის გამო. აღნიშნული თვისება ფულის გარდა არ გააჩნია არც ერთ საქონელს. ამიტომაც არის, რომ ის გახდა სიმდიდრის (კაპიტალის) დაგროვების წყარო. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ დაგროვილ ფულს გააჩნია ის უნიკალური თავისებურებაც, რომ ის შეიძლება გაუფასურდეს (ინფლაციის შემთხვევაში) ანუ მისი, როგორც სიმდიდრის დაგროვების ფუნქცია არაერთგვაროვანია.

საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესი დროში ყოველთვის როდის ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ფულის გადახდის პროცესი მომენტალური აქტი როდია. ვთქვათ, განვადებით შევიძინეთ ავტომობილი, რომლის ღირებულებაა 12000 დოლარი, ავტომობილი მყიდველმა უმალ ჩაიბარა, ხო-

¹ ქალაქის ფულის პირველი ნიშნები გვხვდება ჩინეთში XVI საუკუნეში, საფრანგეთში 1771 წლიდან, ამერიკაში – 1860 წლიდან, რუსეთში ეკტერინე მეორეს მეფობის ეპოქაში, ხოლო საქართველოში ძველი ნელთალრიცხვით V საუკუნეში (კოლხუ-რი თეთრი).


ლო ფულის გადახდის განვადების ვადა განისაზღვრა 3 წლით. ყოველივე ეს შეიძლება აისახოს ისეთ დოკუმენტში, რომელსაც თამასუქი ეწოდება. აღნიშნული შემთხვევა ასახავს ფულის, როგორც დროში გადავადებული გადახდის საშუალების თავისებურებებს.

კრედიტის განვითარების შედეგად თამასუქების განაღდების ორგანიზების ფუნქცია იკისრეს ბანკებმა. ამ ურთიერთობათა განვითარების შედეგად წარ-მოიშვა საკრედიტო ფულის უფრო სრულყოფილი ფორმა ბანკნოტის სახით. თანამედროვე პირობებში ბანკნოტები წარმოადგენს იმ საკრედიტო ფულს, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს საკრედიტო ფული.

საყოველთაო საქონელგაცვლამ იმთავითვე ფულს ახალი – მსოფლიო ფულის ფუნქცია შესძინა. თავდაპირველად მსოფლიო ფული – ოქროს სახით მოგვევლინა, შემდგომში მის ადგილს იკავებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა (აშშ დოლარის და ინგლისური გირვანქა სტერლინგის სახით).¹

ამდენად, ფულის ფუნქციები, რეალურად გამოხატავს ფულის საზოგადოებრივ სარგებლიანობის ისტორიული განვითარების პროცესს. ამიტომაც არის, რომ ფულის ფუნქციები მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან, რაც სქემატურად აისახება შემდეგი სახით, იხ. ნახ. №50.

¹ აშშ-ის დოლარის და ინგლისური გირვანქა სტერლინგის, როგორც მსოფლიოს ფულის დამკვიდრებას ხელი შეუწყო საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად დადებულმა ხელშეკრულებებმა. ასე მაგალითად, 1922 წელს გენუეზიის კონფერენციის შემდეგ აშშ-ის დოლარი და ინგლისური გირვანქა სტერლინგი გამოცხადდა ოქროს ეკვივალენტებად, 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში დადგინდა ოქროს სტანდარტი აშშ-ის დოლარის მიმართ (1 დოლარი = 0,888 კ. ოქრო), 1931 წელს შეიქმნა ფუნტი სტერლინგის ბლოკი; 1933 წელს ფრანგული ფრანკის ბლოკი. 1979 წელს ევროპის თორმეტმა ქვეყანამ აღიარა რეგიონული ფული ეკიუს სახით. 2001 წლიდან „ეკიუს“ შეცვალა „ევრომ“.



ნახ. 50. ფულის ფუნქციები.

XVI. 2. ფულის მასა და აბრეშატი

თანამედროვე პირობებში ფული ბიზნესში შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა სახით: ლითონისა და ქალაქის ფულის, ვადიანი დეპოზიტების, პლასტიკური ბარათები სახით. რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს ეს, სახელ-მწიფომ ზუსტად არ იცის, თუ რა რაოდენობის ფულის მასა არსებობს ბრუნვაში. ამასთან, ის ცდილობს დაახლოებით დაადგინოს მისი ოდენობა და არეგულიროს კიდეც ის. მიმოქცევაში ფული მოძრაობს ორი ფორმით: ნაღდი და უნაღდო. უნაღდო ფულის მოძრაობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით: ბანკნოტების, ლითონის მონეტების, სხვადასხვა სახეობის საკრედიტო ინსტრუმენტების (ჩეკები, საკრედიტო ბარათები, ვექსილები და სხვა) სახით. ნაღდი ფულის მიმოქცევას (მის ემისიას და ბრუნვიდან ამოღებას) არეგულირებს ეროვნული ბანკი.

უნაღდო ანგარიშსწორება განისაზღვრება ანგარიშსწორების პროცესისადმი საერთო მიდგომით და ბანკებში დოკუმენტრუნვის ერთიანი წესით. ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების საერთო წესს ახორციელებს საქართველოს საბანკო სისტემა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. მის მიერვე განისაზღვრება დოკუმენტრუნვის წესები. უნაღდო ანგარიშსწორების დროს გამოიყენება: საგადასახადო დავალიანებები; აკრედიტივი; ჩეკები; საინკასო დავალიანებები და სხვა.

ნაღდი და უნაღდო სარეალიზაციო და საგადასახადო საშუალებათა

ერთობლიობა ქვეყანაში ქმნის ფულის მთლიან მასას. ფულის მასა შედგება ხილული და უხილავი ნაწილებისაგან. ხილული არის ფულის ის საშუალებები, რომლებიც რეალურად ემსახურებიან მიმოქცევის სფეროს, ხოლო უხილავი არის პოტენციური საანგარიშსწორებო საშუალებები, რომელთა შიგნით შედის ფულის დაგროვება და ნაშთები ანგარიშებზე. ნებისმიერი მომხმარებლისა თუ მწარმოებლისათვის ცნება ფული ასოცირდება იმ „ნაღდ ფულთან“, რომელიც მოცემულ ქვეყანაში არსებობს. მაგალითად, საქართველოში ლართან და თეთრთან. მაშინ, როდესაც ცნება „ფული“ გაცილებით რთული ფენომენია და ის აერთიანებს მის იმ ქვეჯგუფებს, რომლებიც წარმოგვიდგება ფულის აგრეგატებში. სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება განსხვავებული ფულის აგრეგატები, მაგრამ მათი ზოგადი სქემა მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:

M1 – ამ ფულად აგრეგატში, რომელსაც ხშირად „წინრო ფულსაც“ უწოდებენ შედის ნაღდი ფული, რომელიც ბანკებს გარეთ მიმოქცევა, საგზაო ჩეკები, მოკითხვამდე ანაბრები, ზოგჯერ საკრედიტო ბარათები. ეს ფულის ის რაოდენობაა, რომელიც მიმოქცევის საშუალებად გამოიყენება და ემსახურება მიმდინარე საგადასახადო ბრუნვას.

M2 – ეს არის M1 + მცირე მოცულობის ვადიანი ანგარიშები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილი ვადიანი დეპოზიტები), ლიკვიდური დანაზოგები (რომლებიც ადვილად გადაიქცევა ნაღდ ფულად).

M3 – ამ აგრეგატს სხვანაირად „ფართო ფულს“ უწოდებენ. მასში შედის M2-ს + მსხვილი ვადიანი ანაბრები და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სერტიფიკატები) და საბიუჯეტო სახსრები.

C – ამ ფულად აგრეგატში შედის ერთობლივი ფულადი მასა: M3 + ბანკებში შენახული ლიკვიდური სახსრები (სახაზინო თამასუქები, ფასიანი ქაღალდები 18 თვიანი დაფარვის ვადით). ის მოიცავს ყველა ლიკვიდურ საშუალებას და ითვლება ყველაზე ფართო ფულად აგრეგატად.

თუ M1, M2, M3 ფულადი აგრეგატები გამოიყენება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, C აგრეგატი გამოიყენება ზოგიერთში (მაგ: აშშ), მხოლოდ M1 და M2 აგრეგატები საფრანგეთში.

საქართველოს მონეტარულ პოლიტიკაში ამ აგრეგატების გაანგარიშებას აქვს დიდი მნიშვნელობა, მათ შორის უნდა დამყარდეს წონასწორობის მდგომარეობა. პრაქტიკიდან გამომდინარე ის მიიღწევა, როდესაც:

$$M2 > M1$$

ხოლო იდეალური წონასწორობის მდგომარეობა მიიღწევა, მაშინ როდესაც

$$M2 - M3 > M1$$

თუ წონასწორობა აგრეგატებს შორის ირღვევა ფულის მიმოქცევაში წარმოიქმნება ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორცაა ფულის ნიშნების დეფიციტი, ფასების ზრდა და სხვა.

ფულის მასაზე ზემოქმედებს ორი ძირითადი ფაქტორი:

1. ფულის მასის მოცულობა;
2. ფულის მიმოქცევის სიჩქარე.

ფულის მასის მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფოში საკანონ-მდებლო ორგანოს მიერ მისი ემიტენტით. ემისიის ზრდა არის განპირობე-ბული საქონლის ბრუნვის სიჩქარით და ის დგება სახელმწიფოს ინტერე-სებიდან გამომდინარე.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე ასახავს ფულის მიმოქცევისა და გადახ-დის ფუნქციების პროცესში მისი მოძრაობის სისწრაფეს. მისი გაანგარი-შების პროცესში გამოიყენება ირიბი მეთოდები:

ერთობლივი ერთგნული პროდუქტი ნ ერთგნული შემოსავალი

$$M_1 + M_2 \text{ აგრეგატები}$$

ეს მაჩვენებელი ასახავს ფულის მიმოქცევასა და ეკონომიკური გან-ვითარების პროცესებს შორის ურთიერთკავშირს.

	ფულის აგრეგატები
M ₁	„ვიწრო ფული“ – მოიცავს ნაღდ ფულს ბანკების გარეთ მიმოქცევაში, საგზაო ჩეკებს, ანაბრებს მოკითხვამდე, ზოგჯერ საკრედიტო ბარათებს.
M ₂	M ₁ + მცირე მოცულობის ვადიანი ანაბრები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილი ვადიანი დეპოზიტები) + ლიკვიდური დანაზოგები (რომლებიც ადვილად იქცევა ნაღდ ფულად).
M ₃	„ფართო ფული“ – მოიცავს M ₂ + მსხვილი ვადიანი ანაბრები + ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სერტიფიკატები) + საბიუჯეტო სახსრები.
C	M ₃ + ბანკებში შენახული ლიკვიდური სახსრები (სახაზინო თამასუქები, ფასიანი ქაღალდები 18 თვიანი დაფარვის ვადით)

ნახ. № 57. ფულის აგრეგატები.

საბანკო ანგარიშგება ფულადი სახსრები

მიმოქცევაში ფულადი მასის საშუალო წლიური სიდიდე

ეს მაჩვენებელი მონიშნავს უნაღდო ანგარიშსწორების სიჩქარეზე. ფუ-ლის მიმოქცევის სიჩქარე ფულის მასის რაოდენობის უკუპროპორციუ-ლია, ამიტომ, ბრუნვადობის დაჩქარება ნიშნავს ფულის მასის ზრდას. ფუ-ლის მასის ზრდა საქონლისა და მომსახურების მოცულობის უცვლელობის პირობებში არის ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

არსებობს ფულის მასის და მისი მიმოქცევის სტაბილიზაციის რამდე-ნიმე მეთოდი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: დეფლაცია – მიმოქ-ცევაში მყოფი ფულადი მასის შემცირება ზედმეტი მასის მიმოქცევიდან

ამოღების მიზნით. დევალვაცია – ფულის ერთეულში ფულადი ლითონის შემცველობის ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით მისი კურსის შემცირება. რევალვაცია – ფულის ერთეულში ფულადი ლითონის შემცველობის ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით მათი კურსის ამაღლება. ნულიფიკაცია – ძველი ფულის ნიშნების გაუქმება და ახალი ნიშნების შემოღება. დენომინაცია – ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულების შეცვლა, მათი გადაცვლა უფრო მსხვილი ნომინალის ფულის ნიშნებზე.

ფულის ყველაზე რეალური ფორმა არის ვალუტა, რომელიც აერთიანებს, როგორც ქაღალდის, ასევე ლითონის ფულს. ვალუტა ეს არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ფულად სისტემას (მაგ., ლარი საქართველოში, იენი იაპონიაში, დოლარი აშშ-ში და სხვა). ვალუტის ნაწილი ბრუნავს ნაღდი ფულის სახით, მისი ნაწილი არ აღირიცხება ოფიციალური სტატისტიკით (ჩლდილოვანი ეკონომიკა) და სხვა ნაწილი იმყოფება საზღ-ვარგარეთ. ნაღდი ფულის (ვალუტის) კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე საკასო ჩეკები, ფულადი გზავნილები, საგზაო ჩეკები. მათი ყიდვა შესაძლებელია ბანკებში. ამ ტიპის ჩეკების განსხვავება იმ ჩეკებისაგან, რომელთა გამონერა შეუძლიათ კომპანიებს და კერძო პირებს მდგომარეობს იმაში, რომ ბანკის ჩეკის განაღდება ხდება საკუთრივ ბანკის სახსრებიდან და არა კლიენტის ანგარიშიდან.

ბიზნესის სისტემაში ლირსეული ადგილი დაიკვიდრა ჩეკებმა. დღეს თუ კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი, მას შეუძლია ანგარიშსწორება მოახდინოს საჩეკო წიგნაკით. ეს არის ანგარიშსწორების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მოხერხებული ფორმა, რადგანაც ბიზნესმენს თან არ უხდება ათასობით ერთეული ნაღდი ფულის ტარება, რასაც რეალურად ცვლის საჩეკო წიგნაკი. ბიზნესმენის ყველა ხელმოწერილი ან გამონერილი ჩეკი ფაქტობრივად წარმოადგენს ბანკისთვის ბრძანებას, რომ მან მოახდინოს ანგარიშსწორება ნებისმიერ ობიექტთან კლიენტის ანგარიშიდან. თუ ანგარიშის თანხა ვერ წვდება მოთხოვნის მოცულობას, შესაძლებელია, ბანკმა კლიენტისათვის დაუშვას ოვერდრაფტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს ფულის ის სახეობა, რომელსაც „თით-ქმის“ ან „კვაზი“ ფულს უწოდებენ. მას მიეკუთვნება ვადიანი დეპოზიტები, უჩეკო შემნახველი ანგარიშები, ობლიგაციები და აქციების ზოგიერთი სახეობა.

ფულადი სახსრების შენახვის ერთ-ერთი მოხერხებული ფორმა არის ვადიანი დეპოზიტი, ანუ ეს არის ის შენატანი ბანკში, რომელიც გარკვეული ვადის ამონურვის შემდეგ იძლევა მოგებას (დადგენილი პროცენტის მიხედვით). ვადიანი დეპოზიტების ფორმებია: შემნახველი ანგარიშები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და ფულადი საბაზრო ფონდების ანგარიშები.

ბოლო პერიოდებში ოფიციალური გაცვლის ოპერაციებში ყველაზე პოპულარული საშუალებების ფუნქციას იმკვიდრებს პლასტიკური ბარათების სისტემა. ეს არის ყველაზე მოხერხებული ანგარიშსწორების ინსტრუ-

მენტი, რის გამოც, პლასტიკური ბარათების სერვისი დინამიკურად მკვიდრდება ქართულ საბანკო ბიზნესში. პლასტიკური ბარათები არის საბანკო ბარათების ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალფუნქციურად: ინტერ-ეტის მეშვეობით ანგარიშსწორების, სავაჭრო ობიექტებზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების, ნაღდი ფულის ბანკომატებიდან მიღების მიზნით.

საბანკო ბარათების გამოშვებას ახდენს მისი ემიტენტი. შეიძლება არსებობდეს ბარათების ორი სახე: საანგარიშო – მათი მეშვეობით წარმოებს ანგარიშსწორება სხვადასხვა ორგანიზაციებთან და საკრედიტო, რომლის მიხედვითაც ემიტენტი ახდენს კრედიტის გაცემას. ემიტენტის დასახელება და ლოგოტიპი, როგორც წესი, წარმოდგენილია პლასტიკურ ბარათზე. ასეთებია: „VISA“, „Master Card“ და სხვა.

XVI. 3. საქართველოს ფულადი სისტემა

საქართველოს ფულადი სისტემა ფუნქციონირებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“, „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონების მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ფულადი ერთეული არის „ლარი“. კანონით ის წარმოადგენს ერთადერთ საგადამხდელო საშუალებას. ლარი არის უზრუნველყოფილი ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით.

ფულის ნიშნების ემისიის ექსკლუზიური უფლება გააჩნია მხოლოდ ეროვნულ ბანკს, ის ასევე განსაზღვრავს ნუმისმატიკური მიზნებისათვის სამახსოვრო მონეტების გამოშვების პროცედურის, მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების გამოცვლის, განადგურების ან მათი შემდგომი გამოყენების წესებს.

ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკას ბანკნოტებითა და მონეტებით. ბანკნოტების, მონეტების, საქართველოს კანონიერ საშუალებებზე ან სხვა ვალუტაში დენომინირებული ჩეკების, ფასიანი ქაღალდების ან საგადასახადო ბარათების ნებისმიერი სახით დამზადება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის ნებართვით.

სახელმწიფოში ფულადი მიმოქცევის რეგულირება ხორციელდება ეროვნული ბანკით, საქართველოს პარლამეტის მიერ დადგენილი ფულად საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეკონომიკური რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტებია:

- საალრიცხო პროცენტის განაკვეთის განსაზღვრა (სადისკონტო პოლიტიკა);
- საკრედიტო დანესებულებების სავალდებულო რეზერვების ნორმა-

- ტივების დადგენა;
- ოპერაციები ღია ბაზარზე;
 - საკრედიტო დანესებულებების ეკონომიკური ნორმატივების რეგულამენტაცია.

საკრედიტო დანესებულებათა საკასო მომსახურების განსახორციელებლად, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კომპლექსური საკასო მომსახურებისა და ნაღდი ფულის დამუშავების მიზნით, ეროვნული ბანკი ხსნის თავის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიული პრინციპით აგებული საანგარიშსწორებო-საკასო ცენტრებს. თავის მხრივ ეს ცენტრები ნაღდი ფულის მიღება-გაცემის ოპერაციების განსახორციელებლად ქმნიან საოპერაციო სალაროს, საკასო კვანძებს, აგრეთვე ფულის საბანკო ბილეთების და მონეტების სარეზერვო ფონდებს. სარეზერვო ფონდები ეს არის ეროვნული ბანკის საცავებში ბანკნოტებისა და მონეტების მარაგები, რომლებიც არ არიან გაშვებული მიმოქცევაში. ნაღდი ფულის ნაშთი საბრუნავ სალაროებში არის ლიმიტირებული, ანუ წესდებით ნაღდი ფულის დასაშვები მინიმალური თანხა დღის ბოლოსათვის და სიჭარბე საბრუნავი სალაროდან გადაეცემა სარეზერვო ფონდში.

ეროვნულ ბანკში იქმნება ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდი, რომელიც ადგენს ნაღდი ფულის დასაშვები თანხის მინიმალურ ოდენობას. სარეზერვო ფონდის ობიექტური საჭიროება გამომდინარეობს:

- მიმოქცევაში ფულადი მასის განახლების აუცილებლობიდან;
- ეკონომიკის ნაღდი ფულით უზრუნველყოფის საჭიროებიდან;
- ფულადი ნიშნების გადაზიდვებისა და შენახვის ხარჯების შემცირების აუცილებლობიდან.

ნაღდი ფულის გამოშვება მიმოქცევაში ხდება ემისიის ნებართვის საფუძველზე. ამ დოკუმენტს ადგენს ეროვნული ბანკი.

XVI. 4. საბანკო სისტემის არსი

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ატრიბუტს და ბიზნესის აუცილებელ სფეროს შეადგენს. საბაზრო ურთიერთობები წარმოუდგენელია ფულად-საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე, ის უშუალოდ ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს ქვეყანაში მენარმეობისა და ბიზნესის განვითარების ლოგიკას. თანამედროვე საბანკო საქმე არის დინამიკურად განვითარებადი ბიზნესი, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ბიზნესის ეს სფერო ახალგაზრდაა და ყველაზე სწრაფად მზარდია. საქართველოში კომერციული ბანკები გადაიქცა ეროვნული ეკონომიკის ძირითად რგოლად. ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი საბანკო სისტემის რეფორმების დროს დაიწყო, რომელიც თანამედროვე პირობებში აგრძელებს განვითარებასა და მოდერნიზებას.

ბანკების განვითარებას უძველესი ისტორია გააჩნია. ტერმინი „ბანკი“ წარმოიშვა იტალიური სიტყვა „ბანკო“-სგან, რაც მერხს ან დახლს ნიშნავს, სადაც ფულის გადამცვლელი თავიანთ მომსახურებას ეწეოდნენ. ამ ტიპის ინსტიტუტები ჯერ კიდევ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ფულით მოვაჭრეების ზარაფის სახით წარმოიშვა. ზარაფის ძირითადი ფუნქცია ფულით ვაჭრობა იყო.

ბანკების მრავალფუნქციური ფორმირება ხდება XV-XVII საუკუნეებში იტალიაში. ამ ეპოქის ყველაზე სახელგათქმული ბანკი იყო კლასიკური ბანკი ფლორენციაში. მემატინანეს ცნობით პირველი ბანკი თანამედროვე გაგებით ქ. გენუაში 1407 წლით თარიღდება. VIII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა და საკრედიტო ურთიერთობებს აწარმოებდა სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი – ბანკი, რომელსაც ორტალი ეწოდება.¹

საერთაშორისო საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს ქვეყნებში მისი ორგანიზაციის ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს:

- ცენტრალური ბანკით საკრედიტო სისტემა;
- ფედერალური რეზერვის საკრედიტო სისტემა.

პირველი მოქმედებს ისეთ ქვეყნებში, როგორც არის გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ნიდერლანდები, საქართველო და სხვა. მეორე მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში.


ზოგადად საბანკო ბიზნესის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა სახის ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლების მიერ რეგლამენტირებული ფულად-საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში მოქმედებენ. თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რთული, მრავალდონიანი მექანიზმია, რომელსაც განმტკობული სტრუქტურა გააჩნია. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ორდონიანი საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა. სისტემის ზედა დონე არის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი, ან სარეზერვო სისტემა (აშშ-ი), ქვედა დონეზე არის კომერციული ბანკები, რომლებიც უნივერსალურ და სპეციალიზებულ (საინვესტიციო, შემნახველ, იპოთეკურ, სამომხმარებლო კრედიტის, დარგობრივ) ბანკებად და არასაბანკო საფინანსო დაწესებულებებად (საინვესტიციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ლომბარდები, სატრასტო კომპანიები, საინვესტიციო სააგენტოები) იყოფიან (იხ. ნახ. №52).

XVI.5. ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები

ძირითადი (ცენტრალური) ბანკი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენის ისტორია, თბ., 1941, ტ. III. გვ. 66

სახელწოდებით წარმოსდგება. გერმანიაში – ბუნდეს ბანკი, აშშ-ი – ფედერალური სარეზერვო სისტემა, ინგლისში – ინგლისის ბანკი, რუსეთში – ცენტრო ბანკი, საქართველოში – ეროვნული ბანკი. ფუნქციურად ის მრავალპროფილიანი დაწესებულებაა, რომლის ძირითადი დანიშნულება ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირებაა. ამას ეროვნული



ნახ. №52. ორდონიანი საბანკო


ბანკი აღწევს: ბანკოტების ემისიით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენით; საკრედიტო-საბანკო ინსტიტუტების რეფინანსირებით; სავალუტო პოლიტიკის განხორციელებით, საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირებით; მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქციის შეთავსებით; საგადასახადო საანგარიშსწორებო ურთიერობის ორგანიზაციით.

ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები წარმოდგენილია შემდეგ სქემაზე (იხ. ცხრილი №53).

ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქცია არის ბანკოტების ემისია. თანამედროვეობაში ცენტრალური ბანკი ნაღდი ფულის ემისიაზე ერთპიროვნული უფლების მატარებელია. ოქროს სტანდარტის სისტემაზე უარის თქმის შემდეგ ბანკოტების ემისია უპირატესად სამთავრობო ობლიგაციების ქვეშ ხორციელდება.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკის სახელ-მწიფო მონოპოლისტური რეგულირების ექსკლუზიურ უფლებას შეადგენს, რომელიც აისახება მიმოქცევაში ფულადი მასის, კრედიტების მოცულობის, საკრედიტო განაკვეთების დონისა და ფულადი მიმოქცევის

რეგულირებაში. ერთობლივი ფულადი ბრუნვა თავისთავში ნაღდ ფულად მასას და ბანკში რიცხულ უნაღდო ფულს მოიცავს. ერთობლივი ფულადი ბრუნვის რეგულირება სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით ხორციელდება, ერთ-ერთი მათგანი მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირებაა.



ნახ. № 53. ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია ან ფულად საკრედიტო ემისიის სტიმულირებაზე – საკრედიტო ექსპანსიაზე, რაც წარმოების დაცემის პირობებში კონიუნქტურის გამოცოცხლებას იწვევს, ან ფულად-საკრედიტო ემისიის შეზღუდვაზე ეკონომიკური ზრდის პირობებში, რაც იწვევს საკრედიტო რესტრიქციას.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია:

- მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დადგენა;
- ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება;
- ოპერაციები ღია ბაზარზე;

მინიმალური რეზერვის პოლიტიკა პირველად აშშ-ში 30-იან წლებში იქნა გამოყენებული და ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა აითვისეს. ფაქტობრივად ის არის ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკის ანაბარი, რომლის სიდიდეს ეროვნული ბანკი ადგენს. თავდაპირველად ეს პრაქტიკა გამოიყენებოდა კომერციუ-

ლი ბანკების დაზღვევის მიზნით. კომერციულ ბანკში შესაძლებელია წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც მენაბრეთა სახსრები მთლიანად კრედიტის გასაცემად გამოიყენება. იმ შემთხვევაში, თუ მენაბრეები რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო ამ სახსრებს უკან გამოითხოვენ, ბანკი აღმოჩნდება გადახდისუუნარო. ამ გარემოების გამორიცხვის მიზნით, ეროვნული ბანკი ახდენს თავის განკარგულებაში მინიმალური რეზერვის აკუმულირებას, რომელიც არ ექვემდებარება დაკრედიტებას. გარდა ამ მნიშვნელოვანი ფუნქციისა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, ზრდით ან შემცირებით ეროვნული ბანკი აღწევს ნაღდი ფულის მასის ეკონომიკაში მოძრაობის ზრდას ან შემცირებას.

ამდენად, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა ერთის მხრივ გამოიყენება კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მინიმალური დონის გარანტირების, ხოლო მეორეს მხრივ, ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მიზნით.

ეროვნული ბანკის მიერ სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ირიბ ინსტრუმენტს შეადგენს. საკრედიტო რესურსების ზრდის მიზნით კომერციული ბანკები ხშირად ეროვნული ბანკისაგან იღებენ სესხს, რომელიც გაიცემა უფრო დაბალი პროცენტით კომერციულ ბანკებზე, ვიდრე ისინი გასცემენ მას კლიენტებზე. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკები ღებულობენ დამატებით მოგებას. ოფიციალურ სააღრიცხვო განაკვეთს ამ კრედიტებზე ადგენს ეროვნული ბანკი. ამდენად, თუ ეროვნული ბანკის მიზანი იქნება კომერციული ბანკების საკრედიტო შესაძლებლობების შემცირება, მაშინ ის ადიდებს ოფიციალურ სააღრიცხვო განაკვეთს, თუ ეროვნული ბანკის მიზანი არის კომერციული ბანკების კრედიტების გაცემისადმი მოთხოვნილების გაფართოება, ის ასეთ შემთხვევაში განაკვეთების დონეს ამცირებს.

ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთების გამოყენება სხვა ფუნქციის მატარებელიცაა. ის საგადასახადო ბალანსის წონასწორობას უწყობს ხელს, რადგანაც საპროცენტო განაკვეთების ამალღებით ხელსაყრელი პირობები ექმნება უცხოური კაპიტალის მოზიდვას. საპროცენტო განაკვეთებით მანიპულირება ფულად მასაზე ზემოქმედების ინსტრუმენტადაც განიხილება. საპროცენტო განაკვეთების გადიდება, კრედიტის გაძვირება, ხელს უწყობს საკასო ნაშთების შემცირებას, ძლიერდება ურთიერთგასესხების მოცულობა, შესაბამისად მცირდება საგადახდებლო სისტემებზე მოთხოვნილება. ეროვნული ბანკი ამით ფულის ბრუნვის დაჩქარების დამატებით სტიმულს ქმნის.

საკრედიტო რეგულირების ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს ეროვნული ბანკი, არის ოპერაციები ღია ბაზარზე. პირველად ისინი აშშ-ი XX საუკუნის 20-იან წლებში გამოიყენეს. ოპერაციებმა ღია ბაზარზე, ანუ ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების (სახაზინო და სახელმწიფო კორპორაციების ვალდებულებების, სამრეწველო კომ-

პანიების და ბანკების ობლიგაციების, ცენტრალური ბანკის მიერ აღრიცხული თამასუქების) ყიდვა-გაყიდვამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ფართოდ დაიმკვიდრა თავი, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ფულადსაკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ერთ-ერთმა ინსტრუმენტმა.

აღნიშნული პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღმავლობის პერიოდში ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს მათთვის მისაღებ ფასში სთავაზობს ფასიანი ქაღალდების შექმნას, რითაც ის ცდილობს მათი საკრედიტო შესაძლებლობები შეამციროს. კრიზისის პერიოდში კი პირიქით, ეროვნული ბანკი ქმნის კომერციული ბანკებისათვის რეფინანსირების პირობებს, რის გამოც კომერციული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების მოზიდვა მათთვის სარფიანია. ამით ეროვნული ბანკი ზემოქმედებს კომერციული ბანკების საკრედიტო აქტივობაზე, რასაც მოჰყვება კრედიტის ღირებულების ან ფულზე მოთხოვნილების ცვლილება ეკონომიკაში.

ფასიანი ქაღალდების მიყიდვა ღია ბაზარზე შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: პირდაპირი ან უკუმიყიდვის (ე.წ. რეპო-ოპერაციები) გზით.

რეპო-ოპერაციები მიეკუთვნება ისეთი სახის ოპერაციებს, როდესაც ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ეროვნული ბანკის მიერ ხდება კომერციულ ბანკებზე, მათი უკან წინასწარ დადგენილი კურსით შესყიდვის ვალდებულების დადგენის საფუძველზე.

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირება გულსხმობს მათზე სესხის გაცემას იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღმოჩნდებიან დროებითი ფინანსური სიძნელეების წინაშე. ამ ფუნქციით ეროვნული ბანკი ბოლო ინსტანციის კრედიტორის ან ბანკთა ბანკის როლში გამოდის. ამ პოლიტიკით ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების დროებით გამოფიტული რესურსების შესავსებად გასცემს სესხს. ასეთი სესხი ყველა სახეობის ბანკებზე არ ვრცელდება, ის გაიცემა მხოლოდ იმ კომერციული ბანკებზე, რომლებიც მდგრადი მდგომა-რეობით გამოირჩევიან, აქვთ შესაბამისი აქტივები და განიცდიან დროებით ფინანსურ სიძნელეებს.

ეროვნული ბანკი წარმოადგენს ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის გამტარებელ ინსტიტუტს. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ეს პოლიტიკა ვლინდება:

- სავალუტო კურსის რეგულირებაში;
- ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირებაში;
- საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის მონაწილეობაში.

აქედან, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს სავალუტო კურსის რეგულირება. სავალუტო კურსის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობა. ეროვნული ბანკი ადგენს სავალუტო კურსების შემდეგ რეჟიმებს:

- ❖ ფიქსირებულს (განისაზღვრება ერთი ვალუტის ან სავალუტო კალა-

თის მიმართ ბაზარზე);

- ❖ თავისუფლად მცურავს (უცხოურ ვალუტაზე სტიქიურად ყალიბდება მისი მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორის გათვალისწინების საფუძველზე);
- ❖ მცოცავს (დგება ეროვნული ვალუტის გაცვლითი ღირებულების ანევის და დანევის საფუძველზე).

სავალუტო კურსის რეგულირების მნიშვნელოვანი მექანიზმი არის სავალუტო ინტერვენციები, ანუ ეროვნული ბანკის პირდაპირი ჩარევა ვალუტის მო-თხოვნა-მიწოდებაზე მისი ყიდვა-გაყიდვის გზით.

სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი არის ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირება და მართვა. სავალუტო რეზერვში იგულისხმება უცხოური ვალუტის ოფიციალური მარაგი ეროვნული ბანკში, რომელიც მის ანგარიშებზე ან უცხოეთის ბანკებში არის განთავსებული. თანამედროვე პირობებში ძირითადი სარეზერვო ვალუტა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის არის აშშ-ს დოლარი და ევრო.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის აგრეთვე საკრედიტო ინსტრუქტების საქმიანობის რეგულირება. ის აისახება:

- ❖ საბანკო საქმიანობის ლიცენზიების გაცემაში;
- ❖ ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშსწორების ობიექტურობის დადგენაში;
- ❖ საბანკო ოპერაციების ნორმების დაცვაზე კონტროლის დადგენაში.

ეროვნული ბანკი ლიცენზიას გასცემს იურიდიულ პირებზე საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ნებართვის მიზნით. ლიცენზია არის ფორმალური ნებართვა საბანკო საქმიანობის განხორციელებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ამ პროცესში ხელმძღვანელობს შემდეგი მონაცემებით:

- ❖ ბანკის აქციონერთა შემადგენლობა;
- ❖ საწყისი ინვესტირებადი კაპიტალის წყაროები;
- ❖ ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა;
- ❖ საბანკო ოპერაციების წრე და სტრატეგია;
- ❖ საბანკო აქტივები;
- ❖ საექსპო დავალიანების შემთხვევაში რეზერვების შექმნის პოლიტიკა.

ლიცენზიაში მიეთითება მისი მოქმედების ვადა და გაგრძელების პირობები.

საზედამხედველო საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმება. შემოწმება იძლევა ისეთი პრობლემების გამოვლენის შესაძლებლობას, რომლებიც შეიძლება გახდეს ბანკის გაკოტრების წყარო. ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება პერიოდული საანგარიშგებო დოკუმენტაცია და

ნლიური ბალანსები. ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები არის:

- ❖ კაპიტალის საკმარისობა;
- ❖ შემოსავლიანობა და მომგებიანობა;
- ❖ ლიკვიდურობა.

ეროვნული ბანკი მთავრობის ფინანსური აგენტის როლში ბიუჯეტის საკასო მომსახურებას, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მიღება-შენახვას, გაცემას აწარმოებს. ამასთან, მის ფუნქციებში შედის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების განხორციელებისას სავალუტო სახსრების გადარიცხვის ოპერაციების განხორციელებაც.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაში ეროვნული ბანკი სამ ძირითად ამოცანას წყვეტს:

- ❖ ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა;
- ❖ საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ❖ ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა.

XVI. 6. ფედერალური სარეზერვო სისტემა

ფედერალური სარეზერვო სისტემა შეიქმნა 1913 წელს ფედერალური სარეზერვო აქტის საფუძველზე. ფაქტობრივად ის ამერიკის შეერთებულ შტატებში თამაშობს იგივე როლს, რასაც სხვა ქვეყნებში ცენტრალური ბანკები. ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს რამდენიმე ძირითადი ფუნქცია:

- ფულადი მოთხოვნის იმ დონეზე დადგენა, რომ ქვეყანაში არ მოხდეს ეკონომიკური დაცემა, ან ინფლაცია, ანუ ის არეგულირებს ფულადი მასის მოძრაობას;
- ახდენს ფულის მასის ემისიას;
- საკრედიტო დანესებულებებზე ზედამხედველობა;
- საკლირინგო პალატის ფუნქცია;
- ჩეკების მიხედვით ანგარიშსწორება.

ფედერალურ სარეზერვო სისტემა სრულად პასუხობს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიული მოწყობის პრინციპებს. ამ სისტემას ქმნის თორმეტი რეგიონული ბანკი, რომლებიც მართავენ აშშ-ს მთელს საბანკო სექტორს. ესენია: ნიუ-ორკის, ბოსტონის, ფილადელფიის, კლივლენდის, რიჩმონდის, ატლანტის, ჩიკაგოს, სენტ-ლუისის, მინიაპოლისის, კანზას-სიტის, დალასის, სან-ფრანცისკოს ბანკები. ფაქტობრივად თითოეული ეს ბანკი თამაშობს რეგიონის ცენტრალური ბანკის როლს. ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შედის დაახლოებით 5,5 ათასი ბანკი, რომელიც მოიცავს ყველა ფედერალურ ბანკსა და შტატების ბანკების 90 პროცენტს. დანარჩენი 10 პროცენტის საქმიანობას არეგულირებს შტატების

ხელისუფლება, რომელიც უფრო ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს ვიდრე სარეზერვო სისტემა.

ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას განსაზღვრავს მმართველი საბჭო, რომელიც შედგება 7 წევრისაგან და განთავსებულია ვაშინგტონში. საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი 14 წლის ვადით. ამასთანავე, ყოველ ერთ წელიწადში საბჭოს ერთი წევრი იცვლება. საბჭოს გააჩნია იმდენად დიდი უფლებები ეკონომიკური პოლიტიკის დარგში, რომ აშშ-ში ის ფაქტობრივად მიჩნეულია ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ძირითადი ფუნქცია არის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირება. ამდენად, მისი ძირითადი მიზანი არის ფულადი მასის მოცულობის და იმ კრედიტების ოდენობის დადგენა, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის – საქონლის, მომსახურების და სამუშაო ადგილების ზრდისათვის. მეორეს მხრივ მან არ უნდა დაუშვას მიმოქცევაში ჭარბი ფულადი მასის ბრუნვა, რაც ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზია. ეკონომიკური ზრდის სტაბილური უზრუნველყოფის მიზნით, ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭო საქმიანობს ქვეყნის პრეზიდენტთან და კონგრესთან მჭიდრო კოორდინაციაში.


ყველაზე ძირითადი მის საქმიანობაში არის ფულადი მასის მოცულობის რეგულირება. ფედერალური სარეზერვო სისტემა ახორციელებს ისეთ საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, რომლის დროსაც ინფლაციის შემცირების პარალელურად ხდება ეკონომიკური ზრდის და დასაქმების სტიმულირება. რიგ შემთხვევებში ამ პროცესს შესაძლებელია ახლდეს სირთულეებიც. მაგალითად, მაშინ, როდესაც ფულადი მასის მოცულობა იზრდება და მიმოქცევაში გამოდის დიდი ფულის მასა, ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა შეამცირონ საკრედიტო განაკვეთები. ფულში მიწოდების ზრდა ინვესს დანახარჯების გადიდებას, რაც ხდება ინფლაციის წინაპირობა. ამ მიზეზით, ფული, რომელიც გაიცემა ინფლაციის პერიოდში ბანკიდან უფრო დაბალი მსყიდველობითი უნარიანობით გამოირჩევა, ვიდრე ის ფული, რომელიც დეპოზიტების სახით იქნა მიღებული ეკონომიკური სტაბილიზაციის ეტაპზე. იმისათვის, რომ მოახდინონ ფულის მსყიდველობითი უნარიანობის კომპენსირება, დეპოზიტარებისათვის კრედიტორებმა უნდა ასწიონ საპროცენტო განაკვეთები. ამიტომაც არის, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის ზრდის შედეგად მიღებული ინფლაციის პირობებში საპროცენტო განაკვეთები იზრდება.

ფედერალური სარეზერვო სისტემა არის აშშ-ს ფედერალური მთავრობის (ფინანსთა სამინისტროს სახით) ოფიციალური ბანკი. ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ უნდა აიღოს ვალი მოსახლეობისაგან, რამაც კერძო პირების და კომპანიების სესხებთან კონკურენციის პირობებში შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების დამატებით ზრდა. იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ეს მოვლენა, ფედერალური სარეზერვო სისტემა გასცემს თანხებს უშუალოდ

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროზე.

მონეტარული პოლიტიკის დარგში ფედერალურ სარეზერვო სისტემას გააჩნია ოთხი ძირითადი ინსტრუმენტი: სარეზერვო მოთხოვნილების ზრდა; საპროცენტო განაკვეთების ცვლილება; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა (ღია ბაზრის ოპერაციები); შერჩევითი საკრედიტო კონტროლი (სხვადასხვა სახეობის სესხების გაცემის პირობების დადგენა).

ამ ინსტრუმენტების გამოყენებით, ფედერალური სარეზერვო სისტემა აღწევს ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის რეალიზაციას. სტაბილიზაციის ყველაზე ზოგადი სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (იხ. ნახ. №54).



ნახ 54. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფულადი მასის რეგულირება.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის კომერციული ბანკების აუცილებელი რეზერვის შექმნა. ყველა ის ბანკი, რომელიც შედის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში ვალდებულია შეიტანოს მის სპეციალურ ანგარიშზე აუცილებელი რეზერვი, რომლის მოცულობა განისაზღვრება პროცენტულად მისი დეპოზიტების საერთო მასის მიმართ. ეს ნორმა აშშ-ში შემოღებული იქნა 1917 წლიდან. 1970

ნლიდან დანესდა რეზერვის ერთიანი ნორმები საბანკო დეპოზიტების მოცულობისაგან დამოუკიდებლად. ფულადი მასის რეგულირების თვალსაზრისით ეს არის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი. ინფლაციის ამალღების პერიოდში სარეზერვო მოთხოვნების ნორმატივები იზრდება, ბანკები ვერ გასცემენ დიდი რაოდენობით კრედიტებს. ამიტომ, ერთობლივი დანახარჯები მცირდება და პირიქით რეზერვების მოცულობა შეიძლება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით შემცირდეს, რაც მეტი კრედიტების გაცემას და შესაბამისად ეკონომიკის აქტივიზაციას იწვევს. ზოგჯერ, ბანკებს გააჩნიათ სარეზერვო მოთხოვნაში დეფიციტი. ამიტომაც, ფედერალური სარეზერვო სისტემა უშვებს ერთი ბანკის სარეზერვო თანხის მეორე ბანკისადმი მოკლევადიანი დაკრედიტების მიზნით გადაცემას, რასაც ფედერალური ფონდის საპროცენტო განაკვეთი ეწოდება.

ბანკებს აქვთ უფლება აიღონ დამატებითი კრედიტი რეგიონული სარეზერვო ბანკიდან, რითაც მათი საკრედიტო რესურსები იზრდება. ამ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთს აწესებს რეგიონული სარეზერვო ბანკი. ამიტომაც არის, რომ მას საალრიცხვო (დისკონტური) განაკვეთი ეწოდება. ასეთი ოპერაციები იზიდავს კომერციულ ბანკებს, რადგანაც ჩნდება დამატებითი დაკრედიტების წყარო. შეზღუდვას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ რეგიონული სარეზერვო ბანკი აწესებს ამ კრედიტის მოხმარების პირობებს, რაც კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია ფედერალური ბანკის ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რადგანაც ფედერალურ სარეზერვო ბანკს ეკონომიკის აქტივიზაციის ან შეზღუდვის თვალსაზრისით შეუძლია მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად შემცირება ან ზრდა, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს კომერციული ბანკების საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე. ეს არის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ბერკეტი. ასე მაგალითად, საშუალო საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტით შემცირება იწვევს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 1/3 პროცენტით ნამატს.

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის დარგში ფედერალური სარეზერვო სისტემის რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ობლიგაციების ყიდვა შეუძლია ყველა მსურველს, ამ ტიპის ოპერაციებს ეწოდება ღია ბაზარზე ოპერაციები. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ინფლაცია, ფედერალური ბანკები იწყებენ ღია ბაზარზე ობლიგაციების აქტიურ გაყიდვას, რითაც მიიღწევა ბრუნვიდან ზედმეტი ფულადი მასის ამოღება. ეკონომიკის გამოცოცხლების შემდეგ იწყება უკუოპერაციები ან სახელმწიფო იწყებს მის მიერ გამოშვებული ობლიგაციების უკუშესყიდვას. ფულადი მასის ზრდასთან ერთად მცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის აქტივიზაციას და კომპანიების „გამოცოცხლებას“. ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს შესაძლებლობა დაადგინოს ცალკეული კრედიტის მოხმარების წესები, რასაც შერჩევითი საკრედიტო კონტროლი ეწოდება. უკანასკნელი ასევე

აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საქმიან აქტიურობაზე. ასე მაგალითად, მას შეუძლია დაადგინოს მარჟა (ანუ იმ კრედიტების ზომა, რომელსაც ბროკერები და ბანკები გაცემენ კლიენტებზე აქციების ყიდვის პროცესში). როდესაც სპეკულაციური ოპერაციების მოცულობა ბირჟაზე იზრდება, ფედერალური სარეზერვო სისტემა ანებსებს ასეთ მარჟას, რათა შეზღუდოს საფინანსო ინსტიტუტების მიერ აქციების შესყიდვის მიზნით მსხვილი კრედიტების გაცემა.

ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მასის კონტროლთან ერთად ასრულებს კიდევ ერთ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორც არის ნალდი ფულის მიწოდება ბანკი-წევრებისადმი. ასეთი ფულადი მიწოდება ატარებს სეზონურ ხასიათს.

ფედერალური სარეზერვო სისტემა ასრულებს საკლირინგო პალატის როლსაც. ბანკები ახდენენ მიღებული ჩეკების დამუშავებას, რათა აწარმოონ ჩეკების მიხედვით საკლირინგო ანგარიშსწორებები. ასე მაგალითად, ნიუ-იორკის ბანკის მიერ გაცემული ჩეკის დეპონირება შესაძლებელია ამერიკის სხვა ნებისმიერ ბანკში, მაგალითად, ბოსტონში. ბოსტონის ბანკი წარმართავს ამ ჩეკს შესაბამის რეგიონულ სარეზერვო ბანკში, რომელიც „იღებს“ ამ სახსრებს ნიუ-იორკის ბანკში და განავითარებს მათ საკუთარ ანგარიშზე.

საჩეკო კლირინგის ზოგადი სქემა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (იხ. ნახ. №55).

როგორც ამ სქემიდან ჩანს, ბანკები ფედერალური სარეზერვო სისტემის ჩართვის საფუძველზე ახდენენ ურთიერთგადარიცხვებს, რითაც ფაქტობრივად ზრდიან კლიენტების ურთიერთმოსამხურების საიმედოობის ამაღლების დონეს. აქვე კარგად ჩანს სახსრების მოძრაობის წრებრუნვის პროცესი საბანკო მომსახურების საჩეკო კლირინგის პროცესში.


XVI. 7. საფინანსო ინსტიტუტები

გარდა ცენტრალური ბანკებისა საფინანსო ბიზნესში გადამწყვეტ როლს თამაშობენ კომერციული ბანკები, შემნახველი ინსტიტუტები, საკრედიტო კავშირები, საფინანსო კომპანიები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები.

კომერციული ბანკი წარმოადგენს ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითად ერთეულს. ის „ყიდის“ სპეციფიკურ საქონელს კრედიტის სახით, რითაც ღებულობს მასზე დანამატს სასესხო პროცენტის სახით. ამიტომაც არის, რომ ის გამოდის ფულადი რესურსების „გამყიდველის“ როლში. ამით არის მოტივირებული ის, რომ ამ ტიპის ბანკს კომერციული ეწოდება (კომერცია ლათ. ვაჭრობას ნიშნავს). ბანკის, როგორც საკრედიტო ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებს შეადგენს:

- ფულადი სახსრების ანაბრებში მოზიდვა;

- ამ სახსრების დაბრუნებადობის, ვადიანობის და ფასიანობის პირობებში განთავსება;
- იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და მომსახურება.



ნახ. 55. საჩეკო კლირინგის მექანიზმი.

კომერციული ბანკის წარმატების სანინდარი არის კრედიტუნარიანი კლიენტებისთვის, რაც შეიძლება მეტი სახსრების გაცემა, პროცენტის მაქსიმიზაცია და მისი ანაზღაურების მიხედვით მინიმიზაცია. კომერციული ბანკი არის ბიზნესის აქტივიზაციის ძირითადი ფინანსური ინსტიტუტი. კომერციული ბანკები აგრეთვე კერძო პირებზე გასცემენ სესხებს, ჩეკებს,

საკრედიტო ბარათებს.

საქართველოს კანონმდებლობით კომერციული ბანკები შეიძლება იყოს:

- ❖ კერძო;
- ❖ კოლექტიური;
- ❖ აქციონერული;
- ❖ შერეული.
- ❖ ერთობლივი კაპიტალის საფუძველზე შექმნილი კომერციული ბანკი შეიძლება იყოს:
- ❖ ერთობლივი (სანესდებო კაპიტალში მონაწილეობს რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკი);
- ❖ უცხოური (სანესდებო კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობს არარეზიდენტი ბანკი);
- ❖ ფილიალის სახით.
კომერციული ბანკი კაპიტალის ფორმირების ხერხების მიხედვით შეიძლება იყოს:
- ❖ სააქციო (ღია ან დახურული ტიპის);
- ❖ საპაიო.

საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო ბიზნესის დაწყების წესს განსაზღვრავს „ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონი“ და „კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საბანკო ბიზნესის დაწყების საფუძველი არის ლიცენზია. მის მისაღებად ამ ბიზნესის მაძიებელი პირები საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენენ შემდეგ დოკუმენტებს:

- ❖ სასამართლოში რეგისტრირებულ წესდებას და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტების დედას;
- ❖ ინფორმაციას კომერციული ბანკების ღირეტიტორთა კვალიფიკაციის შესახებ;
- ❖ ცნობას კომერციული ბანკის გაცხადებული სანესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის შესახებ;
- ❖ ბანკის ბიზნეს-გეგმას;
- ❖ ბანკის აქციონერთა რეკვიზიტებსა და მათი კაპიტალის ხვედრით წილს;
- ❖ დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, რომელშიც განთავსდება ბანკი.

ამ დოკუმენტაციის მიღების დღიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ლეზულობს გადაწყვეტილებას ბანკის დაფუძნების შესახებ.

საკრედიტო ბიზნესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საკრედიტო კავშირები. საკრედიტო კავშირები წარმოადგენენ არაკომერციულ კოოპერატივებს, რომლებიც ეკუთვნის მის წევრებს. საკრედიტო კავშირების ამ თავისებურებების გამო მათ უწოდებენ არასაბანკო სადებოზიტო დაწესე-

ბულებებს. კანონმდებლობით განსაზღვრულია საკრედიტო კავშირების საქმიანობის შემდეგი პრინციპები:

- ❖ ნევრთა ნებაყოფლობითობა;
- ❖ ნევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში;
- ❖ ფიზიკურ პირთა საერთო მიზნით გაერთიანება.
- ❖ საკრედიტო კავშირებს აქვთ უფლება განახორციელონ მხოლოდ ზოგიერთი სახეობის საბანკო ოპერაციები. ესენია:
- ❖ მიიღოს ანაბრები მხოლოდ მისი ნევრებისაგან;
- ❖ გასცეს სესხი მხოლოდ მის ნევრებზე;
- ❖ განახორციელოს ინვესტიციები:

ა) სახაზინო ვალდებულებებში;

ბ) კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი სესხების სახით;

გ) გასცეს მოკლევადიანი სესხები სხვა საკრედიტო კავშირებზე.

საკრედიტო კავშირის საქმიანობის ლიცენზიას გასცემს ეროვნული ბანკი. ლიცენზიის მისაღებად განისაზღვრება შემდეგი თანდართული დოკუმენტების ნუსხა: სასამართლოში რეგისტრირებული წესდება და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტები; ცნობა გაცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღებული ნაწილის შესახებ; დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე საკუთრებას ან სხვა უფლებას, რომელშიც განთავსებულია საკრედიტო კავშირი.

ლიცენზიის განაცხადის მიღების შემდგომ, ეროვნული ბანკი 10 დღის განმავლობაში ლეზულობს გადაწყვეტილებას მისი დაფუძნების შესახებ.

საფინანსო კომპანიები გასცემენ მოკლევადიან კრედიტებს, როგორც ფირმებზე, ასევე კერძო პირებზე. ისინი არ ლეზულობენ ანაბრებს. ისინი ანესებენ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რადგანაც კრედიტებს გასცემენ იმ კლიენტებზე, რომლებიც სარისკო საქმიანობას ეწევიან, რის გამოც, უკანასკნელნი ვერ ლეზულობენ კრედიტებს სხვა საფინანსო ორგანიზაციებში. მსოფლიოში ცნობილი ისეთი საფინანსო კომპანიები, როგორცაა: „ფორდ მოტორზ კრედიტი“, „აი-ბი-ემ კრედიტი“, „ჯი კეპიტალი“ და სხვა. ასე მაგალითად, აშშ-ის ბიზნესის სფეროში მათ ეკუთვნით კომერციული კრედიტების მოცულობის 1/4.

არსებობს სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც, რომლებიც ეწევიან ბიზნესის სფეროში საბანკო მომსახურებას. ასეთებია:

– მსხვილი საბროკერო ფირმები, ისეთები, როგორიც არის „მერილ ლინჩი“, რომლებიც ეწევიან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. ისინი თანამედროვე პირობებში გასცემენ კრედიტებს კერძო პირებზე. საქართველოში ამ თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს საქართველოს ბანკთან არსებული საბროკერო საინვესტიციო კომპანია „გალტ ენდ ტაგვართ სექიურითი“, რომელიც ფლობს ამ სეგმენტში საქართველოს ბაზრის 65 პროცენტს.

– სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც სადაზღვევო პოლისების გა-

ყიდვით ამოღებული თანხების ნაწილს იყენებენ გრძელვადიანი დაკრედიტების მიზნით.

– საპენსიო ფონდები, რომლებიც საპენსიო ანარიცხებით აკუმულირებულ თანხებს იყენებენ მსხვილ ობიექტებში ინვესტირებისა და დაკრედიტებისათვის.

– საინვესტიციო ბანკები, რომლებსაც ასევე უწოდებენ ფასიანი ქაღალდების განთავსების გარანტორებს (ანდერრაიტერებს) ისინი ძირითადად ყიდულობენ კომპანიების აქციებსა და ობლიგაციებს სრული მოცულობით და შემდგომ ყიდვიან მათ მოსახლეობაზე.

XVI. 8. კომერციული ბანკების საბაზო ფუნქციები

თანამედროვე ბიზნესის სისტემაში კომერციული ბანკების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ აუცილებელია განვიხილოთ ამ საკრედიტო ინსტიტუტების საბაზო ფუნქციები.

თანამედროვე კომერციულ ბანკს შეუძლია შესთავაზოს კლიენტს დაახლოებით 200-მდე სხვადასხვა სახეობის საბანკო პროდუქტი და მომსახურება. მსოფლიო ქვეყნებში კომერციული ბანკი არის საბაზრო ეკონომიკის საკრედიტო სისტემის მთავარი საოპერაციო რგოლი. აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციული ბანკი, როგორც საკრედიტო სისტემის წამყვანი რგოლი მუდმივად განიცდის ევოლუციას. ბანკი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, როდი იყენებს ყველა სახის ოპერაციებს (მაგალითად, სატრასტო, სალიზინგო), მაგრამ არსებობს ის საბაზო ფუნქციები, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია ფუნქციონირება, ბანკის ასეთ კონსტიტუციურ ოპერაციებს მიეკუთვნება: დეპოზიტების მიღება; ფულადი გადარიცხვებისა და ანგარიშგების წარმოება; კრედიტის გაცემა.

იმ ფუნქციების დაუბრკოლებელი შესრულება ქმნის იმ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს ბანკის არსებობას.

ერთ-ერთი ძირითადი საბანკო ფუნქცია არის დეპოზიტური. დეპოზიტები წარმოიქმნება ორი გზით: კლიენტის მიერ ბანკში ფულადი სახსრების შეტანით, ან საბანკო დაკრედიტების გზით. ამასთან, ეს ოპერაციები რასაკვირველია აისახება ქვეყანაში არსებულ ფულად მასაზე.

განვიხილოთ ეს შემთხვევა ცალ-ცალკე. პირველი შემთხვევა: ვთქვათ, კლიენტმა შეიტანა ბანკში 10 ათასი დოლარი და დაავალა ბანკს ჩარიცხოს ის მოთხოვნამდე ანგარიშზე. ამ ოპერაციის შედეგად ბანკის ბალანსის აქტივში 10 ათასი დოლარით გაიზარდა სალაროს ნაშთი, ხოლო პასივში ანალოგიური თანხის დეპოზიტები. ფულის საერთო მასა ეკონომიკაში არ შეცვლილა. ფული ერთი ფორმიდან გადავიდა მეორეში – ნაღდიდან უნაღდოში.

მეორე შემთხვევა: ბანკმა მისცა კლიენტს კრედიტი 10 ათასი დოლარის ოდენობის და ჩარიცხა ეს თანხები მის სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ შემთხვევაში ფულის საერთო მასა ეკონომიკაში გაიზარდა 10 ათასი დო-

ლართ, რადგანაც ბანკმა თავისი ოპერაციით შექმნა ახალი საგადაამხდელი საშუალება, დეპოზიტი გახდა საჩეკო ემისიის საფუძველი და ამ დეპოზიტის თანხით გაიზარდა ფულადი მასა ეკონომიკაში.


ამდენად, კომერციულ ბანკს გააჩნია ის თვისება, რომ მას შეუძლია შეამცროს ან გაზარდოს დეპოზიტები და შესაბამისად ფულადი მასა ეკონომიკაში და ეს თვისება ფართოდ გამოიყენება ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც აუცილებელი რეზერვის სისტემის ხარჯზე ახდენს კრედიტების დინამიკის რეგულირებას. რეზერვების შემცირებით ეროვნული ბანკი იწვევს ჯაჭვურ რეაქციას, რის შედეგადაც მცირდება დეპოზიტები და პირიქით.

სარეზერვო მოთხოვნილება დიდ როლს თამაშობს საბანკო სექტორის ფუნქციონირებაში. ეს ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ვთქვათ, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია აუცილებელი რეზერვის ნორმა 20%-ის ოდენობით. თუ დეპოზიტები ბანკში შეადგენს 1000 დოლარს, აქედან 200 დოლარი განთავსდება რეზერვში, ხოლო დანარჩენი 800 დოლარი გაიცემა სესხად. გაცემული სესხის კვლავ ბანკში განთავსების შემთხვევაში 160 დოლარი განთავსდება რეზერვში, ხოლო დარჩენილი 640 დოლარი გაიცემა სესხად და ა.შ. თუ ეს პროცესი გაგრძელდება 6-ჯერ ბანკი გაასამშავებს სანყის შენატანს.

ერთ-ერთი ყველაზე ფართო სახეობის ფუნქცია არის ბანკის მიერ საკრედიტო შუამავლის როლის შესრულება. კომერციული ბანკი თამაშობს საკრედიტო შუამავლის როლს იმ სამიუზნეო სუბიექტებს შორის, რომლებსაც გააჩნიათ დროებით თავისუფალი ფულადი თანხები განთავსებული საბანკო დანესებულებებში. საბანკო კრედიტი ეს არის საფინანსო მომსახურების ერთ-ერთი შეუცვლელი ფორმა. მასზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება. ბანკი, როგორც საკრედიტო ორგანიზაცია. ახდენს:

- ფულადი სახსრების;
- ვადების;
- რისკების ტრანსფორმაციას.

ფულადი სახსრების ტრანსფორმაცია. ბანკების მიერ მიღებული დეპოზიტები და მის მიერ გაცემული კრედიტები არ ემთხვევა ერთმანეთს, მოცულობით, მიღებისა და გაცემის დროით. საკრედიტო ორგანიზაცია მუდმივად ახდენს სხვადასხვა სახეობის წვრილი დეპოზიტების ტრანსფორმაციას კრედიტებში. თუ წარმოვიდგინთ ისეთ შემთხვევას, როდესაც მსესხებელი არ გამოიყენებს ბანკის მომსახურებას, მას მოუწევდა უამრავ გამსესხებელთან ურთიერთობის დამყარება იმისათვის, რომ მიეღო კრედიტის სასურველი ოდენობა. ბანკი მარტივად წყვეტს ამ პრობლემას, ახდენს რა დეპოზიტების ტრანსფორმაციას კრედიტებში. სქემატურად ეს პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: (იხ. ნახ. №56).



ნახ. 56. ფულადი სახსრების ტრანსფორმაციის პროცესი.

ვადების ტრანსფორმაცია. მოკლევადიანი ფული საბანკო დაწესებულებაში გადაიქცევა გრძელვადიანად. ეს შესაძლებელია შემდეგი მიზეზის გამო: კრედიტორების დიდი ნაწილი ტოვებს თავის სახსრებს ბანკში გაცილებით უფრო დიდი დროით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ანგარიშიდან მოხსნილი ფული იცვლება ახლად შემომავალი ფულით, დიდი რიცხვების კანონით შემოსავლები და გასავლები ტოლფასი ხდება.

რისკების ტრანსფორმაცია. ფულის ნებისმიერი ინვესტირება არის დაკავშირებული რისკთან. საკრედიტო ორგანიზაციები გამოდიან რა კრედიტორისა და მსესხებელის როლში, ამცირებენ ამ რისკს. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ლეზულობენ რა ფულს, ბანკები გასცემენ კრედიტს: განსხვავებული მოცულობით; განსხვავებული მიზნებით; განსხვავებული დროით.

ამის შედეგად ხდება ცალკეული რისკების პოტენციალის განონასწორება. ამდენად, ძირითად საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნება:

დეპოზიტების მიღება და კრედიტების გაცემა. თანამედროვე საკრედიტო ორგანიზაციების ფუნქციები ამით როდი ამოიწურება. ბანკები, როგორც საკრედიტო ორგანიზაციები, აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, რაც გულისხმობს ბანკებთან საბროკერო ფორმების შექმნას. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს ბანკთან არსებული საბროკერო კომპანია „გალტენ ტაგვარტ სექიურიტი“, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ბიზნესი მოიცავს მათ გამოშვებას, განთავსებას (ანუ დაყვანას მყიდველამდე), შენახვასა და მართვას.

ვექსილების ოპერაციები, რაც გულისხმობს ვექსილების ყიდვას მათ გადახდამდე.

საკომისიო ოპერაციები – ეს არის გარიგების წარმოება კომისიონერების (კერძო პირების) მიერ, კომიტენტის (სხვა პირის დავალებით).

საბანკო აქცეპტი – რაც გულისხმობს ბანკის მიერ საგადასახლო მოთხოვნის ვალდებულების საკუთარ თავზე აღებას.

ინკასო ეს არის კლიენტის დავალება, რათა ბანკმა მოახდინოს კონტრაგენტისაგან ჩეკის (ვექსილის) განაღდება სასაქონლო-განკარგულებითი დოკუმენტის სანაცვლოდ და ჩარიცხოს თანხები მიმღების ანგარიშზე.

საჩეკო ოპერაციები ანუ ჩეკის გამომწერის განკარგულება ბანკისადმი, რათა მან გაუნაღდოს თანხა ჩეკის მფლობელს.

აკრედიტივი არის საბანკო ოპერაციების უმნიშვნელოვანესი ფორმა, რო-მლის დროსაც ბანკი კლიენტის დავალებით იღებს თავის თავზე ვალდებულებებს გადაუხადოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს თანხა გარკვეული პირობებით.

ამ ოპერაციაში მონაწილეობენ: კლიენტი, რომელმაც მისცა ბანკს დავალება აკრედიტივის გახსნის შესახებ; ბანკი რომელმაც გახსნა აკრედიტივი, ბანკი რომლსაც დაევალა აკრედიტივის შესრულება; მიმღები ვის სასარგებლოდაც გაიხსნა აკრედიტივი. განასხვავებენ ფულად და სასაქონლო აკრედიტივს.

ფაქტორინგი – ეს არის ბანკის მიერ კლიენტისადმი დებიტორული დავალიანების მოთხოვნისთანავე გადახდა საგარეო-სავაჭრო ოპერაციების წარმოების პროცესში.

ფაქტორინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან საგადასახლო მოთხოვნას (ასე მაგალითად, ექსპორტიორის მოთხოვნა საზღვარგარეთის მყიდველისადმი 30-დან 120 დღემდე) და ამ თანხის 70-90% მოთხოვნისთანავე იხდის.

ლიზინგი – ეს არის ინვესტირების საშუალება, რომელიც ეფუძნება მანქანების, მოწყობილობის, და სხვა საინვესტიციო საქონლის გრძელვადიან იჯარით გადაცემას, რომელშიც გაერთიანებულია საიჯარო და საკრედიტო ურთიერთობანი.

საბანკო ბიზნესის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც მან შეიძინა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისების საფუძველზე, არის საკრედიტო ბარათებით მომსახურება. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე პოპულარული ფორმა, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება ანგარიშგება-დაკრედიტების პროცესში არის საბანკო პლასტიკური ბარათები. ანგარიშგების მექანიზმის თვალსაზრისით პლასტიკური ბარათები შეიძლება იყოს:

- ორმხრივი;
- მრავალმხრივი.

ორმხრივი ანგარიშგების დროს ანგარიშგება ნაყიდ საქონელზე ხდება ანგარიშგების მონაწილეს და კრედიტ ბარათის მფლობელს შორის. მრავალ-

ვალმხრივი სისტემების დროს შუამავლად გვევლინება ნაციონალური ასოციაცია ან ის კომპანია, რომელსაც გააჩნია ამერიკენ ექსპრესის (American Express) გამოშვების უფლება. ის აძლევს უფლებას ამ ბარათის მფლობელს შეისყიდოს საქონელი და მომსახურება კრედიტით იმ ორგანიზაციებში, რომლებიც აღიარებენ ამ ბარათებს საგადასახადო საშუალებად.

ფუნქციონალური დანიშნულების პლასტიკური ბარათები შეიძლება იყოს: დებიტორული; კრედიტორული.

კრედიტორული არის დაკავშირებული ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნასთან, რაც მის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას საქონელის ან მომსახურების ყიდვის პროცესში გამოიყენოს კრედიტი, ბანკის მიერ დადგენილ ფარგლებში. დებიტორული ბარათები იძლევა შესაძლებლობას საბანკო ავტომატებში (ბანკომატებში) მივიღოთ თანხა და ელექტრონული ტერმინალების მეშვეობით ვანარმოოთ ანგარიშსწორება სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტებში.

განასხვავებენ ინდივიდუალურ და კორპორაციულ ბარათებს. ინდივიდუალური გაიცემა ბანკის ცალკეულ კლიენტებზე და შეიძლება იყოს „სტანდარტული“ ან „ოქროს“ ბარათები.

კორპორაციული გაიცემა ფირმებზე, რომლებიც ინდივიდუალურად გასცემენ მას ფირმის თანამშრომლებზე. ამდენად, მასზე იხსნება პერსონალური ანგარიშები, რომელიც მიმაგრებულია კორპორაციულ ანგარიშზე.